ნივთიერების უსაფრთხოების მონაცემთა ფურცელი		
გამოშვების თარიღი: 12/02/2014	**განახლების თარიღი: 15/06/2020**	**ლიმა MSDS N°13**
საფუძველი: რეგულაცია (EC) N° 1907/2006 (REACH) რეგულაცია (EC) N° 803/2015 რეგულაცია (EC) N° 1272/2008 (CLP)		UFI Code:

1. ნივთიერების/ნარევისა და კომპანიის/საწარმოს იდენტიფიკაცია

1.1 პროდუქტის იდენტიფიკაცია

სავაჭრო დასახელება:	**გროგრინ პრო ფორტე AA**
EINECS სახელწოდება/ნომერი:	ნარევი - ამიტომ არ არის არსებითი
სახელწოდება IUPAC–ის მიხედვით:	ნარევი - ამიტომ არ არის არსებითი
მოლეკულური ფორმულა:	ნარევი - ამიტომ არ არის არსებითი

1.2 ნივთიერების ან ნარევის დადგენილი მიზნობრივი გამოყენება და რეკომენდებული შეზღუდვები

დადგენილი მიზნობრივი გამოყენება:	პროდუქტი გამოიყენება ნიადაგის ან უშუალოდ მცენარის მკვებავი ნივთიერებებით მომარაგებისათვის
გამოყენების შეზღუდვები:	არ არის დადგენილი

1.3 უსაფრთხოების მონაცემთა ფურცელის მომწოდებლის მონაცემები

მწარმოებელი და მომწოდებელი:

ლიმა ევროპა ნვ (ბელგია)/Lima Europe NV
Doelhaagstraat 77/1
B-2840 Rumst – Belgium
ტელეფონი: +32 3 203 55 50
info@lima-europe.com

1.4 გადაუდებელი დახმარების ტელეფონის ნომერი

ლიმა ევროპა ნვ	+32 3 203 55 50
ეროვნული ტოქსიკოლოგიური ცენტრი (BE)	+32 70 245 245

2. საფრთხეთა იდენტიფიკაცია

2.1 ნივთიერების ან ნარევის კლასიფიკაცია

პროდუქტის აღწერა:	ნარევი
კლასიფიკაცია:	**თვალის გაღიზ. 2, H319; იწვევს თვალის სერიოზულ გაღიზიანებას** კლასიფიკაცია (EC) NO 1272/2008 [CLP] რეგულაციის შესაბამისად

2.2 ეტიკეტის ელემენტები (CLP)

საშიშროების პიქტოგრამები:

სასიგნალო სიტყვა:	გაფრთხილება
საშიშროების შესახებ განცხადებები :	H319: იწვევს თვალის სერიოზულ გაღიზიანებას (კატ. 2)
ძირითადი გამაფრთხილებელი განცხადებები:	P264: გამოყენების შემდეგ საფუძვლიანად დაიბანეთ ხელები. P280: ატარეთ თვალის დამცავი / სახის დამცავი საშუალებები. P305+351+338:. თვალში მოხვედრისას, დაუყონებლივ გამოირეცხეთ დიდი რაოდენობის წყლით. თუ გაღიზიანება გრძელდება მიმართეთ ექიმს. P337+313: თუ თვალის გაღიზიანება გრძელდება, მიიღეთ სამედიცინო რჩევა/დახმარება
ეტიკეტის დამატებითი ელემენტები:	არ გამოიყენება
მოთხოვნები ტარაზე:	არ გამოიყენება

2.3 სხვა საფრთხეები:

ნივთიერება აკმაყოფილებს PBT კრიტერიუმებს ევროპული რეგულაციის (EC) NR 1907/2006 შესაბამისად, დანართი XIII	არ გამოიყენება
ნივთიერება აკმაყოფილებს zPzB კრიტერიუმებს ევროპული რეგულაციის (EC) NR 1907/2006 შესაბამისად, დანართი XIII	არ გამოიყენება
სხვა საფრთხეები რომელიც არ მოითხოვს კლასიფიკაციას:	წყალთან შერევისას პროდუქტმა შეიძლება წარმოქმნას სრიალა ზედაპირი

3. შემადგენლობა / ინფორმაცია ინგრედიენტების შესახებ

ნივთიერების სახელწოდება	იდენტიფიკაცია	%	კლასიფიკაცია (EC) No. 1272/2008 [CLP] რეგულაციის შესაბამისად	ტიპი
ლიმონმჟავა	RPN: 01-2119457026-42 EC: 201-069-1 CAS: 77-92-0	<10	თვალის გაღიზ. 2 – H319	[1]

ტიპი:

[1] ნივთიერება კლასიფიცირდება როგორც ფიზიკური, ჯანმრთელობისა და ეკოლოგიური საშიშროების გამომწვევი
[2] ნივთიერება სამუშაო ადგილზე ზემოქმედების ზღვრული მნიშვნელობით
[3] ნივთიერება აკმაყოფილებს PBT კრიტერიუმებს ევროპული (EC) NR 1907/2006 რეგულაციის, დანართი XIII –ის შესაბამისად
[4] ნივთიერება აკმაყოფილებს zPzB კრიტერიუმებს ევროპული (EC) NR 1907/2006 რეგულაციის, დანართი XIII –ის შესაბამისად

ზემოთ მითითებული საშიშროებისა და გამაფრთხილებელი განცხადებების სრული ტექსტი: იხ. მე–16 პარაგრაფი

4. პირველადი დახმარების ზომები

4.1 პირველადი დახმარების ზომების აღწერა

კანთან შეხების შემდეგ:	დაუყონებლივ დაიბანეთ ხელები დიდი რაოდენობის წყლითა და საპნით. თუ კანის გაღიზიანება გრძელდება მიმართეთ ექიმს.
თვალთან შეხების შემდეგ:	დაუყონებლივ გამოირეცხეთ თვალები გამდინარე წყლით (>15 წთ), პერიოდულად აიწიეთ ზედა და ჩამოწიეთ ქვედა ქუთუთოები. მოიხსენით კონტაქტური ლინზები თუ ატარებთ და მოხსნა ადვილია. გააგრძელით გამორეცხვა.

ჩაყლაპვის შემდეგ:	სამედიცინო პერსონალის მითითების გარეშე **არ გამოიწვიოთ** ღებინება. მიეცით დიდი რაოდენობით წყალი/რძე დასალევად. მიმართეთ ექიმს, თუ დიდი რაოდენობით არის ჩაყლაპული.
ჩასუნთქვის შემდეგ:	გაიყვანეთ დაზარალებული სუფთა ჰაერზე. ამყოფეთ სიმშვიდეში და კომფორტულ პოზიციაში. სუნთქვის პრობლემების წარმოქმნისას: მიმართეთ ექიმს.

4.2 ყველაზე მნიშვნელოვანი, როგორც მწვავე ასევე დაყოვნებული სიმპტომები და შედეგები

კანთან შეხების შემდეგ:	მნიშვნელოვანი ეფექტები ან საფრთხეები არ არის ცნობილი.
ჩასუნთქვის შემდეგ:	დაშლის პროდუქტების ზემოქმედებამ შეიძლება გამოიწვიოს ჯანმრთელობისათვის საზიანო ეფექტები. ზემოქმედების შემდეგ სერიოზული ეფექტები შეიძლება გვიან გამოვლინდეს. მკურნალობა სიმპტომატურია.
თვალთან შეხების შემდეგ:	მნიშვნელოვანი ეფექტები ან საფრთხეები არ არის ცნობილი.
ჩასუნთქვის შემდეგ:	მნიშვნელოვანი ეფექტები ან საფრთხეები არ არის ცნობილი.

4.3 ნებისმიერი გადაუდებელი სამედიცინო დახმარების და განსაკუთრებული მკურნალობის საჭიროების ჩვენებები

მითითებები ექიმისათვის:	მკურნალობა სიმპტომატურია. პროდუქტის დიდი რაოდენობით ჩაყლაპვით ან ჩასუნთქვით გამოწვეული მოწამვლის სამკურნალოდ დაუყოვნებლივ მიმართეთ სპეციალისტს. ხანძრის შედეგად წარმოქმნილი დაშლის პროდუქტების ჩასუნთქვისას, სიმპტომები შეიძლება გვიან გამოვლინდეს. რეკომენდებულია სამედიცინო მეთვალყურეობა 48სთ–ის განმავლობაში.

5. ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებები

5.1 ხანძრის ჩაქრობის საშუალებები

ხანძრის ჩაქრობის ხელსაყრელი საშუალებები:	ხანძრის ჩასაქრობად გამოიყენეთ დიდი რაოდენობის წყალი.
ხანძრის ჩაქრობის შეუსაბამო საშუალებები:	არ გამოიყენოთ ქიმიური ცეცხლმაქრი მასალები ან ქაფი. არ ჩააქროთ ცეცხლი ორთქლის ან ქვიშის გამოყენებით.

5.2 ნივთიერებიდან ან ნარევიდან წარმოქმნილი სპეციფიკური საფრთხეები

ნივთიერებიდან ან ნარევიდან წარმოქმნილი საფრთხეები:	ნარევი არ არის აალებადი, თუმცა მას შეუძლია ჟანგბადის არ არსებობის დროსაც კი წვის პროცესის ხელშეწყობა. ნარევი გაცხელებისას დნება და შემდგომ გაცხელებას შეუძლია გამოიწვიოს მისი დაშლა ტოქსიკური კვამლის გამოთავისუფლებით.
საშიში დაშლის პროდუქტები:	ამიაკური ნაერთები.

5.3 რჩევა მეხანძრეებისათვის

თავდაცვა ხანძართან ბრძოლისას:	მეხანძრე–მაშველმა უნდა ატაროს შესაბამისი ინდივიდუალური დაცვის საშუალებები და დადებითი წნევის პირობებში მომუშავე ინდივიდუალური სასუნთქი აპარატი სახის სრული ნიღაბით. დამცავი სპეცტანსაცმელი მოიცავს: შესაბამის დამცავ ხელთათმანებს, დამცავ ნიღაბს, სათვალეს და ტანსაცმელს, რომელიც უზრუნველყოფს ქიმიური ინციდენტებისაგან ადეკვატურ დაცვას.

6. ღონისძიებები შემთხვევითი დაღვრის/გაფანტვის დროს

6.1 პირადი უსაფრთხოების ზომები, დამცავი აპარატურა და საგანგებო პროცედურები

არასაგანგებო პერსონალისათვის:	არ შეეცადოთ ზომების მიღებას სერიოზული საფრთხის დროს ან სათანადო პროფესიული მომზადების გარეშე. დატოვეთ შენობა და მიმდებარე ტერიტორია. არ შეეხოთ დაღვრილ მასალას. ატარეთ სათანადო ინდივიდუალური დაცვის საშუალებები.
საგანგებო პერსონალისათვის:	ატარეთ დამცავი ხელთათმანები, ტანსაცმელი და თვალების დამცავი საშუალებები. მოახდინეთ დაბინძურებული ადგილების იდენტიფიკაცია და გარეთ გაიყვანეთ დაუცველი პერსონალი.

6.2 გარემოსდაცვითი უსაფრთხოების ზომები

თავიდან აიცილეთ ნიადაგისა და წყლის დაბინძურება. თავიდან აიცილეთ საკანალიზაციო სისტემებში გავრცელება. შეაჩერეთ გაჟონვა თუ ეს შესაძლებელია.
თუ პროდუქტი ჩაედინება სადრენაჟე არხებში/კანალიზაციაში და ვრცელდება გარემოში (ნიადაგში, ნაკადულებში, მდინარეებში, ჰაერში), აცნობეთ შესაბამის უფლებამოსილ ორგანოებს.

6.3 გავრცელების ლოკალიზაციისა და დასუფთავებისათვის საჭირო მასალა და მეთოდები

გაიტანეთ კონტეინერები დაბინძურებული ტერიტორიიდან.
ნებისმიერი დაღვრა/გაფანტვა დაუყოვნებლივ უნდა დასუფთავდეს. თავიდან აიცილეთ საკანალიზაციო სისტემებში, მდინარეებში, ნიადაგსა და ჩაკეტილ სივრცეებში გავრცელება.
მაქსიმალურად შეაგროვეთ შესაფერის სუფთა კონტეინერებში. შეგროვებული დაღვრილი პრეპარატის გატნა უნდა განხორციელდეს კომპეტენტური ორგანოს მიერ.

6.4 მითითება სხვა პარაგრაფზე

საგანგებო შემთხვევების შესახებ ინფორმაციისათვის იხილეთ **პარაგრაფი 1.**
შესაბამისი ინდივიდუალური დაცვის საშუალებების შესახებ ინფორმაციისათვის იხილეთ **მე–8 პარაგრაფი.**
ნარჩენების დამატებითი დამუშავების შესახებ ინფორმაციისათვის იხილეთ **მე–13 პარაგრაფი.**

7. გამოყენების და შენახვის პირობები.

7.1 უსაფრთხო გამოყენების რჩევები

უსაფრთხოების ზომები:	თავიდან აიცილეთ თვალზე, კანზე და ტანსაცმელზე მოხვედრა არ შეისუნთქოთ/ჩაყლაპოთ. შეინახეთ ქარხნულ შეფუთვაში, ან თავსებადი მასალისაგან დამზადებულ ნებადართულ ალტერნატივაში. შეინახეთ პროდუქტი, როდესაც არ იყენებთ. არ შეურიოთ ტუტე პროდუქტებს (pH > 7). შეინახეთ სითბოსა და ცეცხლის წყაროებისგან შორს. დაცლილ ტარაში შეიძლება დარჩეს პროდუქტის ნარჩენები და შესაბამისად იყოს საფრთხის შემცველი.
ჰიგიენური ზომები:	პროდუქტის გამოყენების დროს აკრძალულია საკვებისა და წყლის მიღება ან თამბაქოს მოწევა. პროდუქტის გამოყენებისა და მოხმარების შენდეგ დაიბანეთ ხელები. საკვების მისაღებად განკუთვნილ სივრცეში შესვლამდე გაიხადეთ დაბინძურებული ტანსაცმელი.

7.2 უსაფრთხო შენახვის პირობები, რაიმე შეუთავსებლობის ჩათვლით

შეინახეთ ქარხნულ ტარაში. მოარიდეთ მზის პირდაპირ სხივებს. შეინახეთ მშრალ და კარგად განიავებად ადგილას.

განათავსეთ სითბოსა და ცეცხლის წყაროებისგან შორს.
შეინახეთ ორგანული მასალების, ნავთობისა და საპოხი მასალისგან შორს.
შეინახეთ აალებადი და მე–10.5 პარაგრაფში მითითებული ნივთიერებებისაგან შორს.
შეინახეთ რეგიონალური და ნაციონალური რეგულაციების შესაბამისად.
პროდუქტის გამოყენების, დამუშავებისა და შენახვის ადგილას აკრძალულია საკვებისა და წყლის მიღება, ან თამბაქოს მოწევა.
შენახვის წესების დაცვისას პროდუქტი სტაბილურია 3 წლის განმავლობაში.

7.3 სპეციფიკური გამოყენება

დამატებითი ინფორმაცია არ არის ხელმისაწვდომი.

8. ზემოქმედების კონტროლი / პერსონალური დაცვა

8.1 კონტროლის პარამეტრები

პროდუქტის სახელწოდება	ტიპი	დეტალური განყოფილება	მნიშვნელობა	დეტალური მეთოდი
ლიმონმჟავა	PNEC	მტკნარი წყალი	0,44 მგ/ლ	შეფასების ფაქტორები
ლიმონმჟავა	PNEC	ზღვის წყალი	0,044 მგ/ლ	შეფასების ფაქტორები
ლიმონმჟავა	PNEC	მტკნარი წყლის ნალექი	3,46 მგ/კგ	შეფასების ფაქტორები
ლიმონმჟავა	PNEC	ზღვის წყლის ნალექი	3,46 მგ/კგ	შეფასების ფაქტორები
ლიმონმჟავა	PNEC	კანალიზაციის გამწმენდი ნაგებობა	>1000 მგ/ლ	შეფასების ფაქტორები
ლიმონმჟავა	PNEC	მიწისზედა/ხმელეთის	33,1 მგ/კგ	შეფასების ფაქტორები

8.2 ზემოქმედების კონტროლი

სათანადო საინჟინრო კონტროლი:	თუ სამუშაო პროცესის დროს წარმოიქმნება მტვერი, გამოიყენეთ დახურული კამერები, ადგილობრივი გამწოვი ვენტილაცა და მართვის სხვა ელემენტები, რათა ჰაერით გავრცელებული დამაბინძურებლების მომუშავე პერსონალზე ზემოქმედება მოექცეს რეკომენდებული ან კანონით დადგენილი ზღვრების ფარგლებში.
პირადი უსაფრთხოების ზომები:	თუ რისკების შეფასება მოითხოვს თავდაცვის აუცილებლობას, გამოიყენეთ შესაბამისი აპრობირებული ინდივიდუალური დაცვის საშუალებები: დამცავი სათვალეები, სახის დამცავი ფარი. დამცავი ხელთათმანები. დამცავი ტანსაცმელი და გაუმტარი ფეხსაცმელი. რესპირატორული მოწყობილობა / აირწინაღი
ჰიგიენური ღონისძიებები:	სამუშაო ადგილზე უსაფრთხოებისათვის უნდა იყოს გათვალისწინებული საშხაპე ან თვალის გამოსარეცხი პუნქტები.
გარემოზე ზემოქმედების კონტროლი:	უნდა შემოწმდეს სავენტილაციო ან სამუშაო პროცესში გამოყენებული აპარატურის გამონაბოლქვი, რათა გარანტირებული იყოს მათი კანონმდებლობასთან შესაბამისობა.

9. ფიზიკური და ქიმიური თვისებები

9.1 ზოგადი ინფორმაცია ძირითად ფიზიკურ და ქიმიურ მახასიათებლებზე

ფიზიკური მდგომარეობა:	მაღალი სიმკვრივის სუსპენზია
სუნი:	სუსტი სუნი

ხსნარის pH:	4,5 (1%–იანი ხსნარი)
ლღობის ტემპერატურა:	მონაცემი არ არის ხელმისაწვდომი
დუღილის ტემპერატურა:	>210°C (იშლება)
აალების წერტილია:	მონაცემი არ არის ხელმისაწვდომი
აორთქლების სიჩქარე:	მონაცემი არ არის ხელმისაწვდომი
აალებადობა:	არ არის აალებადი
აფეთქების ზღვარი:	მონაცემი არ არის ხელმისაწვდომი
ორთქლის წნევა:	მონაცემი არ არის ხელმისაწვდომი
ორთქლის ფარდობითი სიმკვრივე::	მონაცემი არ არის ხელმისაწვდომი
სიმკვრივე:	1.20 კგ/ლიტრი
ხსანადობა:	წყალში 100%–ით ხსნადი
განაწილების კოეფიციენტი ნ-ოქტანოლი/წყალი:	მონაცემი არ არის ხელმისაწვდომი
თვითაალების ტემპერატურა:	მონაცემი არ არის ხელმისაწვდომი
დაშლის ტემპერატურა:	>210°C
სიბლანტე:	>3.000 სანტიპუაზი (cps)
ფეთქებადი თვისებები:	არ არის
დამჟანგავი თვისებები:	მონაცემი არ არის ხელმისაწვდომი

9.2 დამატებითი ინფორმაცია

დამატებითი ინფორმაცია არ არის

10. მდგრადობა და რეაქტიულობა

10.1 რეაქტიულობა

პროდუქტის სტაბილურია ნორმალურ პირობებში გამოყენებისა და შენახვის დროს.

10.2 ქიმიური მდგრადობა

სტაბილურია ნორმალურ პირობებში.

10.3. სახიფათო რეაქციების შესაძლებლობა

ტემპერატურის ზრდის პირობებში პროდუქტს შეუძლია მჟავა ბუნების პროდუქტებთან (pH<7) ინტენსიური ურთიერთქმედება. არ შეურიოთ ძლიერ მჟავებსა და ძლიერ ფუძეებს.

10.4 ასარიდებელი გარემოებები

თავიდან აიცილეთ ტუტე ნივთიერებებით, აალებადი მასალებით, და აღმდგენელი მასალებით დაბინძურება.

10.5 შეუთავსებელი მასალები

ნაერთი ურთიერთქმედებს/ შეუთავსებელია შემდეგი მასალებთან:	ტუტე ბუნების ნივთიერებებთან აალებად მასალებთან აღმდგენელ მასალებთან

10.6 საშიში დაშლის პროდუქტები

გამოყენებისა და შენახვის ნორმალურ პირობებში, საშიში კომპონენტები არ წარმოიქმნება.
გაცხელებისას ან წვის დროს: წარმოიქმნება ტოქსიკური ან კოროზიული აირები/ორთქლი.

11. ტოქსიკოლოგიური ინფორმაცია

11.1 ინფორმაცია ტოქსიკოლოგიურ ეფექტებზე

საშიშროების კლასი	მნიშვნელობა	მეთოდი
მწვავე ტოქსიკურობა პეროლარული ლიმონმჟავა დერმალური ლიმონმჟავა ინჰალაციური	 3000 მგ/კგ 5500 მგ/კგ მონაცემი არ არის ხელმისაწვდომი	 ვირთაგვა OECD–ის 405 სახელმძღვანელო პრინციპებით ვირთაგვა OECD 402
კანის კოროზია/გაღიზიანება	მნიშვნელოვანი ეფექტები ან კრიტიკული მონაცემები არ არის ცნობილი.	
თვალის სერიოზული დაზიანება/გაღიზიანება	ნარევი არ არის თვალის მიმართ კოროზიული (კატ.1)	OECD–ის 437 სახელმძღვანელო პრინციპებით
რესპირატორული ან კანის სენსიბილიზაცია სასქესო უჯრედის მუტაგენურობა კანცეროგენულობა რეპროდუქციული ტოქსიკურობა სპეციფიკური სამიზნე ორგანოების ტოქსიკურობა ასპირაციის საფრთხე	 მნიშვნელოვანი ეფექტები ან კრიტიკული მონაცემები არ არის ცნობილი	

12. ეკოლოგიური ინფორმაცია

12.1 ტოქსიკურობა

მნიშვნელოვანი ეფექტები ან კრიტიკული მონაცემები არ არის ცნობილი.

პროდუქტის დასახელება	შედეგი	სახეობები	ზემოქმედება
ლიმონმჟავა	მწვავე LC50: 440 მგ/ლ მტკნარი წყალი OECD 203	თევზი	48 სთ
ლიმონმჟავა	მწვავე EC50: 1535 მგ/ლ მტკნარი წყალი	წყლის სხვა ორგანიზმები: დაფნია	24 სთ
ლიმონმჟავა	მწვავე EC50: 425 მგ/ მტკნარი წყალი	წყლის სხვა ორგანიზმები: წყალმცენარეები	240 სთ

12.2 მდგრადობა და დეგრადაციის უნარი

პროდუქტი ბიოდეგრადირებადია მცენარეებსა და ნიადაგში.

12.3 ბიოაკუმულაციის პოტენციალი

მნიშვნელოვანი ეფექტები ან კრიტიკული მონაცემები არ არის ცნობილი,

12.4 ძვრადობა ნიადაგში

ნიტრატ–იონები მოძრავია და ამონიუმის–იონები ადსორბირდება ნიადაგის ნაწილაკების მიერ. ფოსფატები, ნიადაგში მხოლოდ ძალიან მცირე მანძილებზე გადაადგილდება და ფიქსირდება. ნიადაგში გახსნილი კალიუმის–იონების მობილურობა მცირეა ნიადაგში მყოფ მინერალებზე ადსორბირდების გამო. გახსნილი მაგნიუმის–იონები ნიადაგში ადსორბირდრდება თიხის მინერალებით. მკვებავი ნივთიერებების გამოტუტვა ნიადაგში მიმდინარეობს თიხის მინერალების არ არსებობის დროს.

12.5 PBT და vPvB შეფასების შედეგები

არ გამოიყენება.

12.6 სხვა გვერდითი მოვლენები

მნიშვნელოვანი ეფექტები ან კრიტიკული მნიშვნელობები არ არის ცნობილი.

13. განკარგვის/უტილიზაციის ღონისძიებები

ნარჩენების წარმოქმნა თავიდან უნდა იქნას აცილებული ან მინიმუმამდე შემცირდეს.
დიდი რაოდენობის ნარჩენი პრეპარატი არ უნდა განადგურდეს კანალიზაციაში ჩაყრით. ის უნდა გადამუშავდეს შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოს მიერ. ნარჩენების გატანა მოახდინეთ ადგილობრივი/ან ეროვნული რეგულაციების შესაბამისად.

14. ინფორმაცია ტრანსპორტირების შესახებ

14.1 გაეროს კლასიფიკაცია

„საშიში ტვირთების ტრანსპორტირების შესახებ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის რეკომენდაციების“ თანახმად (გაეროს ნარინჯისფერი წიგნი) და საერთაშორისო სატრანსპორტო კოდების, RID (რკინიგზა), ADR (გზა) და IMDG (ზღვა) შესაბამისად ითვლება უსაფრთხო მასალად.

14.2 UN გადაზიდვის შესაბამისი სახელწოდება

არ ექვემდებარება შევსებას.

14.3 ტრანსპორტირების საშიშშროების კლასი

არ ექვემდებარება შევსებას.

14.4 შეფუთვის ჯგუფი

არ ექვემდებარება შევსებას.

14.5 გარემოს დაცვასთან დაკავშირებული საშიშროება

იხილეთ მე–12 პარაგრაფი.

14.6 უსაფრთხოების განსაკუთრებული ზომები მომხმარებელთათვის

არასახიფათო ქიმიური ნივთიერებების ტრანსპორტირებისას აუცილებელია სათანადო სიფრთხილე.

14.7 დაუფასოებელი (ნაყარი) ტვირთების ტრანსპორტირება MARPOL73/78 დანართი II და IBC კოდის შესაბამისად

არ ექვემდებარება შევსებას

15. მარეგულირებელი ინფორმაცია

15.1 ნივთიერებისა და ნარევებისთვის უსაფრთხოების, ჯანმრთელობისა და გარემოსდაცვითი სპეციფიკური რეგულაციები/ კანონმდებლობა

15.1.1 EU რეგულაცია:

ევროპარლამენტის და საბჭოს 2003 წლის 13 ოქტომბრის (EC) N° 2003/2003 რეგულაცია სასუქებთან დაკავშირებული საკითხების შესახებ.
ევროპარლამენტის და საბჭოს (EC) No 1907/2006 რეგულაცია ქიმიური ნივთიერებების რეგისტრაციის, შეფასების, ავტორიზაციისა და შეზღუდვის შესახებ (REACH).
2015 წლის 28 მაისის ევროკომისიის (EU) 2015/830 რეგულაცია, რომელმაც ცვლილებები შეიტანა ქიმიური ნივთიერებების რეგისტრაციის, შეფასების, ავტორიზაციისა და შეზღუდვის შესახებ (REACH) ევროპარლამენტისა და საბჭოს (EC) N 1907/2006 რეგულაციაში.
2008 წლის 16 დეკემბრის ნივთიერებათა და ნარევების კლასიფიკაციის, ეტიკეტირებისა და შეფუთვის შესახებ ევროპარლამენტის და ევროსაბჭოს (EC) No 1272/2008 რეგულაცია, რომელმაც შეცვალა და გააუქმა 67/548/EEC და 1999/45/EC დირექტივები და ცვლილებები შეიტანა (EC) No 1907/2006 რეგულაციაში.

15.1.2 ნაციონალური რეგულაციები:

28/01/2013 ბრძანებულება პროდუქტის ბაზარზე შემოტანის და სასუქების, ნიადაგის გამაუმჯობესებელი საშუალებებისა და სუბსტრატების გამოყენების შესახებ.

15.2. ქიმიური უსაფრთხოების შფასება

ქიმიური უსაფრთხოების შეფასება არ ჩატარებულა.

16. დამატებითი ინფორმაცია

16.1 განახლების მიზეზი

(EC) N° 830/2015 რეგულაციასთან შესაბამისობა.

16.2 აბრევიატურების და აკრონიმების სრული სია

BW	სხეულის წონა
CLP	ნივთიერებებისა და ნარევების კლასიფიკაციის, მარკირებისა და შეფუთვის შესახებ რეგულაცია (CLP) (რეგულაცია (EC) No. 1272/2008)
GHS	ქიმიურ ნივთიერების კლასიფიკაციისა და ეტიკეტირების გლობალური ჰარმონიზებული სისტემა
DNEL	მიღებული არაეფექტური დონე (ნივთიერებისგან წარმოქმნილი ზემოქმედების უსაფრთხოების მაჩვენებელი)
DMEL	მიღებული მინიმალური არაეფექტური დონე
EC50	კონცენტრაცია, რომელიც განსაზღვრული ზემოქმედების დროის შემდეგ იწვევს საპასუხო რეაქციას საწყის მდგომარეობასა და მაქსიმუმს შორის შუახაზზე.
თვალის გაღიზ. 2	თვალის გაღიზიანება კატეგორია 2
H319	იწვევს თვალის სერიოზულ გაღიზიანებას
LC50	სასიკვდილო კონცენტრაცია სადაც ტესტ პოპულაციის 50% იღუპება ერთჯერადი ზემოქმედების დროს
PBT	მდგრადი, ბიო–აკუმულირებადი და ტოქსიკური
vPvB	ძალიან მდგრადი და ძალიან ბიოაკუმულირებადი
PNEC	პროგნოზირებადი არაეფექტური კონცენტრაცია

16.3 მნიშვნელოვანი მითითებები და მონაცემები

ინფორმაცია მომწოდებლისგან (MSDS და ტექნიკური მონაცემების ფურცლები)

Bovine Corneal Opacity and Permeability (BCOP) test according to OECD guideline 437 by:
VITO-ABS, Industriezone Vlasmeer 7, B-2400 Mol, Belgium.

16.4 კლასიფიკაციის მიღებისთვის გამოყენებული პროცედურა რეგულაციის (EC) nr 1272/2008 CLP/ GHS შესაბამისად.

კლასიფიკაცია: თვალის გაღიზ. 2, H319
დასაბუთება: ექსპერტის შეფასება.
.

ნივთიერებათა უსაფრთხოების მონაცემთა ფურცელში წარმოდგენილი ინფორმაცია სწორია ჩვენი ცოდნის, ინფორმაციისა და კომპეტენციის ფარგლებში გამოქვეყნებისა და განახლების მომენტისათვის. აღნიშნული ინფორმაცია არის მხოლოდ უსაფრთხოდ მოხმარების, გამოყენების, შენახვის, ტრანსპორტირების, განკარგვის შესახებ სახელმძღვანელო და არ განიხლება როგორც გარანტია ან ხარისხის დაზუსტება. აღნიშნული ინფორმაცია გამოყენებული უნდა იყოს ტექნიკური ინფორმაციასთან შესაბამისობაში. აღნიშნული ინფორმაცია ეხება მხოლოდ კონკრეტულ ნივთიერებას/მასალას და შეიძლება არ იყოს სარწმუნო ამგვარი ნივთიერების/მასალისთვის, რომელიც გამოიყენება სხვა ნივთიერებებთან ნაზავში ან რაიმე პროცესში და ეს არ არის მითითებული ტექსტში.
აღნიშნული ინფორმაცია არ ათავისუფლებს მომხმარებელს ყველა არსებული რეგულაციების შესაბამისად პროდუქტის მოხმარების პასუხისმგებლობისაგან.

ლიმა ევროპა ნვ
ბელგია